ოქმი:**ო63. 6326063001**
თარიღი:**04/03/2026**

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**ბიუროს სხდომის**

**ო ქ მ ი N 4**

ქ. სამტრედია. 26 თებერვალი, 2026 წელი.

2026 წლის 26 თებერვალს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ვაჟა სტურუას თავმჯდომარეობით, ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

***სხდომას ესწრებოდნენ:*** ვაჟა სტურუა, გიორგი მეიშვილი, ნათია პაპავა, ირაკლი მელაშვილი, მარიამ ცომაია მ/შ, გოჩა არველაძე, მერაბ უღრელიძე, ჯონი თევზაძე, ნუგზარ ნუცუბიძე, თენგიზ ცაგურია, პაატა კოხრეიძე.

***ასევე სხდომას ესწრებოდნენ:***

***1.*** საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

***2.*** საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

***3.*** საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში, თამილა კეკელიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

**დღის წესრიგი**

1. **ინფორმაცია**, 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილებასთან დაკავშირებით.

**/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/**

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან **სოციალური დახმარების გაცემის წესის** დამტკიცების თაობაზე", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ნ.ნუცუბიძე/**

**3.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული 344.50 კვ.მ. ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.037.01.503) 211.63 კვ.მ ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

**4.** ქალაქ სამტრედიაში, 9 აპრილის ქ. №4–ში მდებარე 254.80 კვ.მ ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.349.01.502) და მოძრავი ნივთების (ინვენტარის) სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსთვის, 2027 წლის 01 იანვრამდე, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

**5.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოღაში, მე-3 ქუჩა №1-ში მდებარე 1309.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი 39.40 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.52.145, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი”-სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი–238773644) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

**6.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 62000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.46.293) 2018 წლის 01 თებერვლის იჯარის ხელშეკრულებაში მოიჯარის ჩანაცვლების შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

**7.** ,,ქალაქ სამტრედიის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 იანვრის №6 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, მ.ცომაია/**

**8. სხვადასხვა**

კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

***დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით ,*** მომხსენებელმა გოჩა

არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო ინფორმაცია, 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილებასთან დაკავშირებით.

***მომხსენებელმა აღნიშნა, რომ:***

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 იანვრის № 222 განკარგულებით სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 125 000 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“–პუნქტის ,,ე.ე“–ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69–ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 ნაწილების ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის №43 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის N№62.62260355 04/02/2026 ბრძანებით დაზუსტდა „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N15 დადგენილება, კერძოდ, გაიზარდა კოდი ( 02 02 010) ბინათმშენებლობა სხვა ხარჯების გეგმა 125 000 ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ინფორმაცია მიღებული იქნა ცნობად.

საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

***დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით ,*** მომხსენებელმა ნუგზარ ნუცუბიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. კერძოდ:

**მუხლი 1.**

**1.** საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე” სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №16 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 25/12/2025. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.120.016530) შეტანილ იქნეს ცვლილება.

**2.** ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე” სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №16 დადგენილებით დამტკიცებული ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი''-ს:

**ა)** პირველი მუხლის:

**ა.ა)** მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, 2026 წლის 1 იანვრის შემდეგ შვილის შეძენის შემთხვევაში მიიღებენ დაფინანსებას ერთჯერადად 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით. 2026 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ახალშობილებზე დაფინანსება ერთჯერადად 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით გაიცემა იმ ახალშობილის მშობლებზე, რომლის ერთი მშობელი მაინც, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით, რეგისტრირებული იყო სამტრედიის მუნიციპალიტეტში არაუგვიანეს 2026 წლის 1 იანვრამდე და ამ თარიღიდან უწყვეტად ინარჩუნებს რეგისტრაციას ახალშობილის დაბადებამდე. იმ შემთხვევაში, თუ სამტრედიის მუნიციპალიტეტში არაუგვიანეს 2026 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული იყო ახალშობილის მხოლოდ დედა და ამ თარიღიდან უწყვეტად ინარჩუნებს რეგისტრაციას ახალშობილის დაბადებამდე, ამ შემთხვევაში 2026 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ახალშობილზე დაფინანსება ერთჯერადად 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით გაიცემა, თუ ოჯახი ფაქტობრივად ცხოვრობდა სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წლის 1 იანვრამდე და ამ დროიდან უწყვეტად ცხოვრობს სამტრედიის მუნიციპალიტეტში.''

**ა.ბ)** პირველი მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ''-ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

**ბ)** მე-3 მუხლის:

**ბ.ა)** პირველი პუნქტის ,,ა''-ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, შშმპ და ომის ვეტერანები, ონკოლოგიური პაციენტები, მრავალშვილიანი ოჯახის (4 და მეტი 18 წლამდე) წევრი, მარტოხელა პირი (პირი, რომელთანაც არ ცხოვრობს სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირი), 1.00-დან-500 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 100 %, 500-1000 ლარის ჩათვლით 500 ლარით, 1000 ლარის ზემოთ 600 ლარით;''

**ბ.ბ)** მე-2 პუნქტის ,,ა''-ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, შშმპ და ომის ვეტერანები, ონკოლოგიური პაციენტები, მრავალშვილიანი ოჯახის (4 და მეტი 18 წლამდე) წევრი, მარტოხელა პირი (პირი, რომელთანაც არ ცხოვრობს სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირი), 1.00 -დან -800 ლარის ჩათვლით მაქსიმუმ 300 ლარით, 800 ლარის ზემოთ 400 ლარით;''

**ბ.გ)** მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,თ''-ქვეპუნქტი:

,,თ) მარტოხელა პირის (პირის, რომელთანაც არ ცხოვრობს სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირი) შემთხვევაში, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა, რომ ამ პირთან არ ცხოვრობს სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირი.

**გ)** მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 300 ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ შემდეგი კატეგორიის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახები და ომის მონაწილეები:

ა) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შშმ პირები;

ბ) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახები.''

**დ)** მე-14 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მცხოვრები ოჯახები, რომლებიც წარმოადგენენ რისკის ქვეშ (საჭიროებენ გადაუდებელ სარემონტო სამუშაოს ჩატარებას), უკიდურეს მძიმე მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს, რომელთაც არანაირი შემოსავალი არ გააჩნიათ ოჯახის სარჩენად, ასევე მოქალაქეებს, რომლებიც არიან ჯანმრთელობის მხრივ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, დახმარების ოდენობა განისაზღვროს მერიაში შექმნილი კომისიის მიერ, სიმძიმის მიხედვით 100-დან 1000 ლარის ჩათვლით:

ა) არის მოვლა - პატრონობის გარეშე დარჩენილი პირი, უმუშევარი, სოციალურად დაუცველი, შშმპ, შეჭირვებული- 100 ლარი;

ბ) არის მოვლა - პატრონობის გარეშე დარჩენილი პირი, უმუშევარი, სოციალურად დაუცველი, არა აქვს საკუთარი სახლი და ცხოვრობენ სხვის ბინაში –150 ლარი;

გ) წარმოდენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100 – 150 ლარი;

დ) წარმოდგენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100, დაავადებულია რამოდენიმე ქრონიკული დაავადებით – 200 ლარი;

ე) წარმოდგენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100, აქვს უმძიმესი საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები – 300 ლარი;

ვ) არის შშმ პირი, მრავლშვილიანი (3 და მეტი) ოჯახი, რომლებსაც არა აქვს საცხოვრებელი სახლი და ცხოვრობენ სხვის ბინაში – 500 ლარი;

ზ) საჭიროებენ გადაუდებელ სარემონტო სამუშაოს ჩატარებას – 500 ლარი. განსაკუთრებულ შემთხვევაში 1000 ლარი.''

**ე)** 27-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. პროგრამა მიზნად ისახავს უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, რომელთა საცხოვრებელი სახლები ამორტიზირებულია და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, მოსახლეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხეს არ ექვემდებარება აღდგენას/რეაბილიტაციას ან შესაძლებელია რეაბილიტაცია, ან ოჯახს არ გააჩნია საცხოვრებელი ფართი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებულ იქნა ქვეპროგრამა „მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა“. ქვეპროგრამის მიზანია ამ ოჯხაბისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა, სოციალური რისკების შემცირება და მათი სოციალური ფუნქციონირების ამაღლება. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება „მცირეფართიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ან საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროექტი“, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტს, საჭიროების მიხედვით უზრუნველყოს ახალი საცხოვრებელი სახლის აშენება ან არსებული საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია.''

საკითხი განიხილა შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

***დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით ,*** მომხსენებელმა მერაბ ულრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული 344.50 ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.037.01.503) 211.63 კვ.მ ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ. კერძოდ:

**1.1.** მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გასცეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული 344.50 კვ.მ. ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.037.01.503) 211.63 კვ.მ ფართი.

**1.2.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული 344.50 კვ.მ. ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.037.01.503) 211.63 კვ.მ ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის ქირის საწყის წლიურ საფასურად (ქირის საწყის წლიურ ოდენობად) განისაზღვროს 3000 (სამიათასი) ლარი.

**1.3.** ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული 344.50 კვ.მ. ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.037.01.503) 211.63 კვ.მ ფართის ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 300 (სამასი) ლარი.

**1.4.** ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული 344.50 კვ.მ. ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.037.01.503) 211.63 კვ.მ ფართის საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 1000 (ათასი) ლარი.

**1.5.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული 344.50 კვ.მ. ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.037.01.503) 211.63 კვ.მ ფართის იჯარის ფორმით სარგებლობისათვის, ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

**1.6.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული 344.50 კვ.მ. ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.037.01.503) 211.63 კვ.მ ფართის, იჯარის ფორმით სარგებლობის ვადად განისაზღვროს 25 (ოცდახუთი) წელი.

**1.7.** აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია აგრეთვე მოაწესრიგოს №34.07.45.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონების სხვა ნაწილი - შენობის წინა და ერთ-ერთი გვერდითი ფასადები (შენობის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ფასადები), ასევე, შენობის წინა ეზო (შენობის აღმოსავლეთით მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილი).

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.
***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს

სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

**დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით ,** მომხსენებელმა მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ქალაქ სამტრედიაში, 9 აპრილის ქ. №4–ში მდებარე 254.80 კვ.მ ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.349.01.502) და მოძრავი ნივთების (ინვენტარის) სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსთვის, 2027 წლის 01 იანვრამდე, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე. კერძოდ:

**1.** მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს, სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური ცენტრის, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების სამტრედიის მუნიციპალური განყოფილების ფუნქციონირებისთვის, 2027 წლის 01 იანვრამდე:

**ა)** უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს ქალაქ სამტრედიაში, 9 აპრილის ქ. №4–ში მდებარე 254.80 კვ.მ ფართი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.349.01.502);

**ბ)** თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს მოძრავი ნივთები (ინვენტარი):

| № | **მოძრავი ნივთების (ინვენტარის) დასახელება** |
|---|---|
| 1 | ხის კარადა 05-06-00-00-01-28/0005 |
| 2 | რკინის კარადა 05-06-00-00-01-30/0004 |
| 3 | რკინის კარადა 05-06-00-00-01-30/0003 |
| 4 | ხის სკამი 05-06-00-00-01-27/0013 |
| 5 | ხის ტუმბო 05-06-00-00-01-28/0004 |
| 6 | ხის სკამი 05-06-00-00-01-27/0016 |
| 7 | ხის მაგიდა 05-06-00-00-01-25/0011 |
| 8 | მონიტორი ACER 05-06-00-00-01-04/0114 |
| 9 | რკინის კარადა 05-06-00-00-01-30/0002 |
| 10 | რკინის სეიფი 05-06-00-00-01-30/0001 |
| 11 | პრინტერი 05-06-00-00-01-07/0001 |
| 12 | მონიტორი LENOVO 05-06-00-00-01-04/0001 |
| 13 | პროცესორი LENOVO 05-06-00-00-01-03/0661 |
| 14 | ხის მაგიდა 05-06-00-00-01-25/0004 |
| 15 | ხის სკამი 05-06-00-00-01-27/0052 |
| 16 | პატარა მაგიდა 05-06-00-00-01-25/0003 |
| 17 | ხის სკამი 05-06-00-00-01-27/0014 |
| 18 | ხის მაგიდა 05-06-00-00-01-25/0002 |
| | |

| | |
|---|---|
| 19 | ხის ტუმბო 05-06-00-00-01-28/0003 |
| 20 | ხის კარადა 05-06-00-00-01-28/0002 |
| 21 | ხის სკამი 05-06-00-00-01-27/0041 |
| 22 | ხის სკამი 05-06-00-00-01-27/0059 |
| 23 | ხის მაგიდა 05-06-00-00-01-25/0007 |
| 24 | ხის პატარა მაგიდა 05-06-00-00-01-25/0008 |
| 25 | რკინის სასწორი 05-06-00-00-01-51/0001 |
| 26 | კონდიციონერი 05-06-00-00-01-34/0001 |
| 27 | ხის მაგიდა 05-06-00-00-01-25/0018 |
| 28 | პრინტერი 05-06-00-00-01-07/0003 |
| 29 | პროცესორი ACER 05-06-00-00-01-03/0006 |
| 30 | მონიტორიVIEWSOWIC 05-06-00-00-01-04/0004 |
| 31 | რკინის სკამი 05-06-00-00-01-27/0044 |
| 32 | ხის სკამი 05-06-00-00-01-27/0043 |
| 33 | ხის სკამი 05-06-00-00-01-27/0004 |
| 34 | ხის მაგიდა 05-06-00-00-01-25/0009 |
| 35 | პროცესორი 05-06-00-00-01-03/0005 |
| 36 | მონიტორი ACERI 05-06-00-00-01-04/0005 |
| 37 | რკინის სკამი 05-06-00-00-01-27/0040 |
| 38 | ხის მაგიდა 05-06-00-00-01-25/0016 |
| 39 | ხის მაგიდა 05-06-00-00-01-25/0015 |
| 40 | რკინის კარადა 05-06-00-00-01-30/0007 |
| 41 | ხის სკამი 05-06-00-00-01-27/0045 |
| 42 | რკინის სკამი 05-06-00-00-01-27/0021 |
| 43 | ელ.ღუმელი 05-06-00-00-01-33/0009 |
| 44 | ელ.ღუმელი 05-06-00-00-01-33/0004 |
| 45 | ხის სკამი 05-06-00-00-01-27/0018 |
| 46 | ხის სკამი 05-06-00-00-01-27/0017 |
| 47 | ხის სკამი 05-06-00-00-01-27/0020 |
| 48 | ხის სკამი 05-06-00-00-01-27/0019 |
| 49 | ხის სკამი 05-06-00-00-01-27/0010 |
| 50 | ხის სკამი 05-06-00-00-01-27/0002 |
| 51 | ხის სკამი 05-06-00-00-01-27/0042 |

| | |
|---|---|
| 52 | ელ.ღუმელი 05-06-00-00-01-33/0001 |
| 53 | ვენტილიატორი 05-06-00-00-01-35/0001 |
| 54 | ხის მაგიდა 05-06-00-00-01-25/0019 |
| 55 | პროცესორი HOME 05-06-00-00-01-03/0002 |
| 56 | მონიტორი ACER 05-06-00-00-01-04/0002 |
| 57 | პრინტერი HP 05-06-00-01-07/0002 |
| 58 | რკინის სეიფი 05-06-00-00-01-03/0005 |
| 59 | რკინის კიბე 05-06-00-00-01-51/0003 |
| 60 | რკინის სეიფი 05-06-00-00-01-30/0006 |
| 61 | ელ.ღუმელი 05-06-00-00-01-33/0002 |
| 62 | ელ.ღუმელი 05-06-00-00-01-33/0003 |
| 63 | საბეჭდი მანქანა 05-06-00-00-01-51/0005 |
| 64 | რკინის სეიფი 05-06-00-00-01-30/0011 |
| 65 | რკინის სეიფი 05-06-00-00-01-30/0010 |
| 66 | რკინის კარადა 05-06-00-00-01-30/0008 |
| 67 | რკინის კარადა 05-06-00-00-01-30/0009 |

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

**დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით** , მომხსენებელმა მერაბ ულრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოღაში, მე-3 ქუჩა №1-ში მდებარე 1309.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი 39.40 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.52.145, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი”-სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი–238773644) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე. კერძოდ:

**1.** მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს” (საიდენტიფიკაციო ნომერი–238773644) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოღაში, მე-3 ქუჩა №1-ში მდებარე 1309.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და №1 შენობა-ნაგებობა (საერთო ფართი 39.40 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.52.145.

**2.** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს" (საიდენტიფიკაციო ნომერი–238773644) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოღაში, მე-3 ქუჩა №1-ში მდებარე 1309.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და №1 შენობა-ნაგებობა (საერთო ფართი 39.40 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.52.145, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის" (საიდენტიფიკაციო ნომერი–238773644) არსებობის ვადით.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

**დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით** , მომხსენებელმა მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 62000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.46.293) 2018 წლის 01 თებერვლის იჯარის ხელშეკრულებაში მოიჯარის ჩანაცვლების შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე. კერძოდ:

-სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ავთანდილ არველაძეს შორის 2018 წლის 01 თებერვალს დაიდო სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 62000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.46.293) იჯარის ხელშეკრულება, 15 (თხუთმეტი) წლის ვადით.

- მანანა არველაძის მიერ წარმოდგენილია სამკვიდრო მოწმობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N250898294, რეგისტრაციის თარიღი - 16.07.2025), რომლის თანახმადაც, ავთანდილ არველაძის პირველი რიგის მემკვიდრე არის მანანა არველაძე.

-მანანა არველაძე, წარმოდგენილი სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე ითხოვს, რომ ჩანაცვლებულ იქნეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 62000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.46.293) 2018 წლის 01 თებერვლის იჯარის ხელშეკრულებაში.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 590-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მემკვიდრეებს შეუძლიათ უარი განაცხადონ ხელშეკრულების მოშლაზე და მოითხოვონ საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება, თუ მათ უშუალოდ ან მესამე პირების მეშვეობით შეუძლიათ იჯარით გადაცემული ქონების სწორი სამეურნეო გამოყენება.

-2018 წლის 01 თებერვალს დადებული იჯარის ხელშეკრულებით საიჯარო ქირა წელიწადში შეადგენს 1100 (ათასასი)ლარს, შესაბამისად, ყოველთვიური ქირის ოდენობა არის 92 (ოთხმოცდათორმეტი) ლარი.

-უნდა შეიცვალოს იჯარით გაცემული უძრავი ქონების - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 62000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი

№34.01.46.293) სარგებლობისათვის საიჯარო ქირის ოდენობა და 2018 წლის 01 თებერვალს დადებული იჯარის ხელშეკრულების დარჩენილ პერიოდში საიჯარო ქირა წელიწადში, ნაცვლად 1100 (ათას ასი) ლარისა, განისაზღვროს 2200 (ორიათას ორასი) ლარის ოდენობით, შესაბამისად, 2018 წლის 01 თებერვალს დადებული იჯარის ხელშეკრულების დარჩენილ პერიოდში ყოველთვიური იჯარის ქირის ოდენობა, ნაცვლად 92 (ოთხმოცდათორმეტი) ლარისა, განისაზღვროს 184 (ასოთხმოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება:

**1.1.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 62000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.46.293) 2018 წლის 01 თებერვლის იჯარის ხელშეკრულებაში ავთანდილ არველაძეს ჩაენაცვლოს მანანა არველაძე (ავთანდილ არველაძის პირველი რიგის მემკვიდრე), ხელშეკრულების დარჩენილი ვადით (2033 წლის 01 თებერვლის ჩათვლით).

**1.2.** შეიცვალოს იჯარით გაცემული უძრავი ქონების - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 62000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.46.293) სარგებლობისათვის საიჯარო ქირის ოდენობა და 2018 წლის 01 თებერვალს დადებული იჯარის ხელშეკრულების დარჩენილ პერიოდში საიჯარო ქირა წელიწადში, ნაცვლად 1100 (ათასასი) ლარისა, განისაზღვროს 2200 (ორიათასორასი) ლარის ოდენობით, შესაბამისად, 2018 წლის 01 თებერვალს დადებული იჯარის ხელშეკრულების დარჩენილ პერიოდში ყოველთვიური იჯარის ქირის ოდენობა, ნაცვლად 92 (ოთხმოცდათორმეტი) ლარისა, განისაზღვროს 184 (ასოთხმოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.
***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

**დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით** , მომხსენებელმა, მარიამ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,ქალაქ სამტრედიის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 იანვრის №6 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე. კერძოდ:

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ", საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ''-ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქალაქ სამტრედიის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 იანვრის №6 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 02/02/2026 წ. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.120.016539).

სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნა რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარეობს ქალაქ სამტრედიის გენერალური გეგმის და განაშენიანების გეგმის შემუშავებისთვის საჭირო პროცედურები სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოსთან შეთანხმებით.

- ქალაქ სამტრედიის გენერალური გეგმის და განაშენიანების გეგმის დამტკიცებამდე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია ხელმძღვანელობს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის და მის საფუძველზე მიღებული, მათ შორის, ,,სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.
***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.
თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

**დღის წესრიგი**

1. **ინფორმაცია, 2026** წლის ბიუჯეტში ცვლილებასთან დაკავშირებით.

**/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/**

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან **სოციალური დახმარების გაცემის წესის** დამტკიცების თაობაზე", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ნ.ნუცუბიძე/**

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული 344.50კვ.მ. ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.037.01.503) 211.63 კვ.მ ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

4. ქალაქ სამტრედიაში, 9 აპრილის ქ. №4–ში მდებარე 254.80 კვ.მ ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.349.01.502) და მოძრავი ნივთების (ინვენტარის) სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსთვის, 2027 წლის 01 იანვრამდე, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოღაში, მე-3 ქუჩა №1-ში მდებარე 1309.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი 39.40 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.52.145, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი"-სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი–238773644) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში

გადაცემის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

**6.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 62000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.46.293) 2018 წლის 01 თებერვლის იჯარის ხელშეკრულებაში მოიჯარის ჩანაცვლების შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

**7.** ,,ქალაქ სამტრედიის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 იანვრის №6 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, მ.ცომაია/**

**8. სხვადასხვა**

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, საკრებულოს სხდომა გაიმართება 2026 წლის 27 თებერვალს, $11^{00}$ საათზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: ირმა გოგია

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი